

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის

ბრძანება №3/492

2006 წ. 30 ნოემბერი

ქ. თბილისი

“საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე, 63-ე და 95-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიის 2006 წლის 28 ნოემბრის დასკვნის შესაბამისად:

1. “საქართველოს სსრ 1977 წლის კანონის ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვისა და გამოყენების შესახებ” მოქმედების პერიოდში ისტორიისა და კულტურის ძეგლებად გამოცხადებული ობიექტებისათვის კულტურის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 30 მარტის №3/133 ბრძანებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 27.04.2006წ. №9; ნაწ. IV; გვ.49) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების დანართიდან ამოღებულ იქნეს „რიგითი ნომერი №523 რუსთაველის (შოთა) გამზირი №16, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახ. აკადემიური ანსამბლის შენობა, 1916.წ.“.

ბ) ბრძანების დანართიდან ამოღებულ იქნეს „№526 რიგითი ნომერი რუსთაველის (შოთა) გამზირი №19, თეატრალური ინსტიტუტი, XXს. დასაწყისი)“.

2. ბრძანება გამოქვეყნდეს, საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნების დღიდან.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი დავით სარაჯიშვილის ქუჩა №1^ა)

მინისტრი

გ. გაბაშვილი